

თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა

და შპს „გვირილა 2“-ს შორის

ქ. ბათუმი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდეგში „მსუ“), წარმოდგენილი რექტორის ასოვ. პროფესორის მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ შპს „გვირილა 2“ ს/კ 245416679 (შემდეგში „გვირილა 2“) წარმოდგენილი მისი დირექტორის რამაზ მსახურაძის მიერ, (შემდეგში „მხარეები“) თანხმდებიან პროფესიულ (მოდულურ) საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. შპს „გვირილა 2“ უზრუნველყოფს პროფესიული მოდულური პროგრამის „ფარმაცევტის თანამშრომლობის“-ს სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას და მოდულით გათვალისწინებული სხვა საკითხების შესწავლას; პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით, მხარეებს შორის შეთანხმებული კონტიგენტის ფარგლებში.
2. მხარეები:
 - ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);
 - ბ) დაგეგმვან და განახორცილებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს და სხვა;
 - გ) უზრუნველყოფენ მოდულური პროფესიული პროგრამის „ფარმაცევტის თანამშრომლობის“-ს ფარგლებში, გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ მოდულით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობით.

მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეგვიზიტები

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია მის გაუქმებამდე.



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი“

(ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35)
მერაბ ხალვაში
რექტორი, ასოცირებული პროფესორი
თარიღი: 07.03.2017

შპს „გვირილა 2“
ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. 58



რამაზ მსახურაძე
დირექტორი
თარიღი: 07.03.2017